საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-217

06/03/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „გამწვანება კრწანისის“ სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გამწვანება კრწანისის“ მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში ნარგავების მოსარწყავად, სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ვ. გორგასლის ქუჩაზე, ამავე კომპანიის საკუთრებაში მყოფ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. საკადასტრო კოდი: 01.18.10.003.049. GPS კოორდინატები: X – 489210.00; Y – 4612700.00. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 2.5 კმ-ში, თუმცა კოორდინატების ელექტრონულად გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება მდ. მტკვარი, საიდანაც მოხდება წყალაღება.

წყალაღებისთვის გამოყენებული იქნება F50/250 ტიპის ელექტრო ტუმბო, საიდანაც 150 მ. სიგრძის, 89 მმ. დიამეტრის მქონე მილის საშუალებით მოხდება წყლის მიწოდება მიწის ნაკვეთამდე. ტუმბოს სიმძლავრეა 15 კვტ, ხმაურის დონე შეადგენს 60 დეციბალს. ამოტუმბვის სიღრმეა 5 მ.

საპროექტო ტერიტორიაზე 5 სხვადასხვა წერტილში მოწყობილი იქნება რეზინის მილების მისაერთებელი კვანძები, საიდანაც პერიოდულად მოხდება ქოთნებში არსებული ნარგავების მორწყვა. პროექტი ითვალისწინებს თვეში მაქსიმუმ 200 $მ^3$ (დღე-ღამეში გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობაა 20 $მ^3$) რაოდენობის წყლის გამოყენებას. მორწყვის რეჟიმია თვეში მაქსიმუმ 10 დღე, წელიწადში მაქსიმუმ 5 თვე. წელიწადში გამოყენებული წყლის რაოდენობა არ აღემატება 1000 $მ^3$-ს. პროექტი არ ითვალისწინებს წყლის დასაგროვებლად რეზერვუარის გამოყენებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში არ მოხდება მძიმე ტექნიკის გამოყენება და სამშენებლო ბანაკის მოწყობა. ჩასატარებელი

სამუშაოები არ ითვალისწინებს ნიადაგზე ზემოქმედებას. სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობის პროცესში ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი.

წყალაღება არ მოხდება მდინარის კალაპოტიდან, ასევე ტუმბოს მუშაობის რეჟიმისა და მოსაპოვებელი წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, იქთიოფაუნაზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

მდ. მტკვრიდან აღებული წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ სარწყავი მიზნებისთვის. წყლის გამოყენება სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში არ მოხდება.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევას ადგილი არ ექნება. ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ელექტრო ტუმბო, რომლის ხმაურის დონეა 60 დბ. ტუმბოს მუშაობის რეჟიმის, ხმაურის დონის და მისი განთავსების ადგილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის გათვალისწინებით (დაახლოებით 500 მეტრი) ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სამუშაოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ უზრუნველყოფილი იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე და ამავე კოდექსის II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში შპს „გამწვანება კრწანისის“ სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გამწვანება კრწანისი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გამწვანება კრწანისს“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გამწვანება კრწანისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კრწანისის რაიონის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი